სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 სექტემბერი, 2023 წელი

ბრძანება № 01-02/183

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობა“ (მე-4 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) **პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N01-08/986 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N 01-08/986 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 05 მაისის N01-02/92 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N 01-08/986 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის N01-02/168 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ბუღალტრული აღრიცხვა" (მე-5 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება), "საბიბლიოთეკო საქმე" (მე-4 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) და "მებაღობა" (მე-4 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფების შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 27 ივლისის N01-02/142 ბრძანებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 25 სექტემბრის №1225668 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობა“** (მე-4 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) **პროფესიულ სტუდენტთა** შეფასების მიზნით შეიქმნა შუალედური შეფასების კომისია და განისაზღვროს შეფასების ჩატარების დრო და ადგილი, კერძოდ:

1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საბიბლიოთეკო საქმე“ (მე-4 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნით **შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ლეილა ებრალიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობა" პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ბ) **გიორგი მახარაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობა" პროფესიული განათლების მასწავლებელი;
გ) **ჯიმშერ დიასამიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსი;
დ) **ლევან ბოლქვაძე** - დამსაქმებელი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ე) ლუკა ვანიშვილი - დამსაქმებელი - Mercy corps - ის წარმომადგენელი.

1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მებაღეობა" (მე-4 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) შუალედური შეფასება ჩატარდეს 2023 წლის 28 სექტემბერს 12:00 საათზე, ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15; აუდიტორია N305;

2. შუადედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 08 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებით.**
3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელიას) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).
5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი) და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**